საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№116/18

2022 წელი, 31 იანვარი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტების და „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტის (07-2/94; 24.11.2021) განხილვის ვადა იურიდიულ საკითხთა კომიტეტს (წამყვანი კომიტეტი) და იმ კომიტეტს, რომლის დასკვნაც უნდა ერთოდეს კანონპროექტებს, 2022 წლის 2 თებერვლიდან შესაბამისად გაუგრძელდეთ 30 დღით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი